№ 254 12 დეკემბერი, სამშაბათი 1866—1878 12 დეკემბერი, სამშაბათი № 254

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირაღოვის სახლში № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირაღოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., 6 ხევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ბით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## საქართველო

### ქალაქის კენჭის-ყრა

დღეს, სამშაბათს, იწყება კენჭის-ყრა ქალაქისა; დღეს პირველი ხარისხის ამომრჩეველთა უნდა ამოირჩიონ 24 ხმოვანი—ქალაქის წარმომადგენელნი. 15 იქნება კენჭის-ყრა მეორე ხარისხის ამომრჩეველთა და 18-ს—მესამესი.

მთელი გავლილი ოთხი წლის განმავალობაში მუდამ დღე, მუდამ წამს ვსჩიოდით, ყველაფერში ვემდუროდით ახლანდელ ქალაქის რჩევას (დუმას) და იმისაგან ამორჩეულ გამგეობას (უპრავას). ვემდუროდით და ვსჩიოდით, რომ არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობასაო, ქალაქის ინტერესებზედ არა ზრუნავენო, ხალხის გაჭირების შესამსუბუქებლად თითსაც არ ანძრევენო, ქალაქის შემატებასა და გამშვენიერებაზედ არ ჰფიქრობენო და სხვ. და სხვ.

ახლა გამოგვაჩნდება ჩვენ—თუ რამდენათ გულ-წრფელი იყო ჩვენი საჩივარი: თუ მართლა ვემდურით ახლანდელ რჩევასა და გამგეობას, უეჭველია, ამათ ხელ-მეორედ აღარ მივმართავთ კიდევ ჩვენს ბედზე საზრუნველად, ხელ-მეორედ აღარ ამოვირჩევთ ხმოვანებათ იმ პირთა, რომელთაც გავლილი ოთხი წლის სამსახურით დაგვიმტკიცეს, რომ ქალაქის სარგებლობა და თავიანთ ამომრჩეველებზე ზრუნვა იმათ ფეხებზე ჰკიდიათ.

ყველაფერი ამ კენჭის-ყრაზედ არის დამოკიდებული: თუ ხეირიან კაცებს ამოვარჩევთ ხმოვანებად, კარგი რჩევა გვეყოლება და ეს კარგი რჩევა, უეჭველია, რიგიან გამგეობას, რიგიან ქალაქის თავს და იმის თანაშემწეებს ამოირჩევს. მაშინ ქალაქის საქმეებიც კარგათ წავა.

თუ არა და ბრალი თქვენი, ბრალი ქალაქისა! არავის აღარ უნდა დავემდუროთ, ჩვენვე ვიქნებით დამნაშავენი, თუ შემდეგშიაც ისე უხეიროთ წავიდა წვენი თვით-მმართველობის საქმე, როგორც გავლილი ოთხი წლის განმავალობაში მიდიოდა.

ერთი უბედურება გვჭირს: მაინც-დამაინც გამოჩენილ, მდიდარ ხალხს ვეძებთ; თითქო ჩვენ გვგონია, რომ, თუ არ შეძლებული, თუ არ ფულიანი კაცი, ისე ვერავინ გაარიგებს საქმეს, ისე ვერავინ მოახერხებს ჩვენს წარმომადგენლობას. თითქო თუ ფულიანია კაცი, უეჭველად ჭკვიანიც და პატიოსანიც უნდა იყოს.

ეს ძალიან შემცდარი, ძალიან გავნებელი ჰაზრია. ცხოვრებაში ჩვენ თითქმის მუდამ ამის წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ: რაც უფრო მდიდარია კაცი, ის უფრო ნაკლებად ჰზრუნავს ხოლმე სხვებზე, ღარიბებზე, საზოგადო სარგებლობის მოტანაზე; პირ-იქით ღარიბი კაცი უფრო ადვილად გაიგებს და უფრო მალე თანაუგრძნობს თავისთანავე ღარიბ ხალხს და უფრო გულითაც ეკიდება იმათ გაჭირებულ მდგომარეობის შემსუბუქებას, საზოგადო სიკეთის მოტანას.

ასს მდიდარში ერთს ვერ ნახავთ ჩვენში, რომ ჭკუითა და პატიოსანის სახსრებით და ღონის-ძიებით შეეძინოს თავის სიმდიდრე. ყველამ კარგათ ვიცით, რომ ჩვენებური მდიდრებითითქმის ყველა ხალხის მოტყუებით, გაიძვერობით, ქრთამის შემწეობით და სხვა ამისთანა ოინებისა და ხერხის წყალობით გამდიდრებულან.

და ამისთანა ხალხს ვირჩევთ ხოლმე ჩვენ წინამძღომლებად, ჩვენ წარმომადგენლებათ! იმისთანა ხალხს ვირჩევთ, რომელთაც ადამიანის უბედურებისა და გაჭირებისათ ვისგული გაქვავებული აქვთ, რომელთაც საზოგადო ინტერესი თავის საკუთარი ჯიბის ინტერესად მიაჩნიათ, რომელთაც მხოლოთ ერთი მიზანი და სურვილი აქვთ ცხოვრებაში—რა საშუალებითაც, რა ღონის-ძიებითაც იქნება მოიპოვონ სიმდიდრე.

ამისთანა ხალხს ვირჩევთ და შემდეგ, როცა ამათ ტკბილად სძინავთ, როცა ესენი იმდენათ ზრუნავენ ქალაქის ღარიბ ხალხზე და დაჭისებაზე, რამდენათაც ჩვენ ახლა შარშან დღლის თოვლზე ვზრუნავთ, ვწუხებით, ვჩივით, ვემდურით ამათ და საყვედურს უცხადებთ!

ჩვენს თავს უნდა ვემდუროდეთ, ჩვენს თავს უნდა უწყრებოდეთ და არა ამათ! ჩვენვე ვართ დამნაშავენი: რად ამოვირჩიეთ ესენი ისეთი საქმის გასარიგებლად, რომელიც გროშათ არ მიაჩნიათ?! რად დავისვათ კისერზე? რად მივანდეთ ამათ ჩვენი ბედი და ჩვენ საჭიროებაზე ზრუნვა?!

გამოცდილება იმიტომ არის კარგი, რომ ჭკუას ასწავლის კაცს. ერთხელ ვსცადეთ ამ გვარი ხალხი და კარგათ დავრწმუნდით, რომ არ გამოგვადგნენ.

ვნახოთ ახლა—ვისწავლეთ ჩვენ ჭკუა, თუ არა? ვნახოთ—მივაგნებთ ჩვენ ახალს ხალხს, საზოგადო სარგებლობისათვის გულ-შემატკივარ და უანგაროთ ქალაქისთვის მზრუნველ ხალხს, თუ არა?

მოვნახავთ, მივაგნებთ ამისთანა ხალხს—კარგი; არა და შემდეგში ჩვენვე ვიკითხოთ, ჩვენვე ვირტყათ შუბლში ხელი..

ს. მ.

## დღიური

*** ჩვენ მივიღეთ პეტერბურღიდამ წერილი იქაურ მედიკო-ხირურგიის სტუდენტების არეულობის თაობაზედ, რომლიდამაც ამ თავით შემდეგი ცნობები მოგვყავს:

უმთავრესი მიზეზი არეულობისა ყოფილა შემდეგი გარემოება: მედიკო-ხირურგიის სტუდენტებს ეთხოვნათ პროფესსორის ბოტკინისათვის, რომ მოეხერხებინა აკადემიის პროფესსორების რჩევის (კრების) შედგენა და ამ რჩევას მოელაპარაკნა სტუდენტების შევიწროებულ მდგომარეობაზედ. უფ. ბოტკინი და აგრეთვე რამდენიმე სხვა პროფესსორებიც დაპირებოდნენ სტუდენტებს ამ თხოვნის შესრულებას. მაგრამ აკადემიის რექტორი წინააღმდეგი იყოვო.

ამის გამო სტუდენტები შეკრებილან აკადემიის ეზოში იმ განზრახვით, რომ ეთხოვათ რექტორისათვის რჩევის შეკრება და სტუდენტების მდგომარეობაზე მოლაპარაკება.

ამ დროს პოლიციას გაეგო სტუდენტების თავ-მოყრა და ცხენოსანი ჟანდარმებისა და ყაზახების საშუალებით გაეფანტათ სტუდენტები.

1 ქრისტეშობისთვეს 150-ზედ მეტი სტუდენტი ყოფილა დატუსაღებული. შემდეგის ორის დღის განმავალობაში კიდევ 250-მდინ დაუტუსაღებიათ ასე, რომ ამ ჟამად სულ 400 სტუდენტზე მეტი არის დატუსაღებულიო. დანარჩენ სტუდენტებს გარდაუწყვეტიათ, რომ, სანამ იმათ ამხანაგებს არ გაათავისუფლებენ, მანამ არ ივლიან აკადემიაში.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებასთან შესდგა ცალკე განყოფილება ამ საზოგადოებისა, რომელსაც ერქმევა სახელად „ბაღოსნობის განყოფილება". როგორც თვით სახელიდამა სჩანს, ამ განყოფილების მოვალეობა ის იქნება, რომ იზრუნოს კავკასიის მხრის ბაღოსნობის გაუმჯობესობაზედ, კარგი სამზღვარ გარეთის ხეხილების, წვანილეულის, ვაზების გავრცელებაზედ და სხვ. და სხვ.

განყოფილების თავმჯდომარედ ამორჩეულია უფ. პენჩინსკი, წევრებად: გე-

ევსკი, შერრერი (აკლიმატაციის ბაღის გამგებელად), თ. ზ. ჯორჯაძე, რაფ. ერისთავი, უ.უ. ბურგინძეგოვი, ენიკალოფოვი, ყორღანოვი და სხვ.

*** ბუშინწინ, დილის ათ საათზე ქუთაისიდამ გამოგზავნილი ტელეგრამმა გუშინ დილის 11 საათზე მოგვივიდა. ასე მსწრაფლად ხომ რკინის გზასაც დააქვს უბრალო ფოჩტა. ჩვენს ტელეგრაფის უწყებას, ეტყობა, ვერ გაუგია, რომ ტელეგრაფი სისწრაფისათვის არის მოგონილი და შემოღებული.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად იქითკენ ისეთნაირად თბილათ, რომ ზოგიერთი ხეხილები, როგორც მაგალითად ტყემალი, ატამი, ჭანჭური და სხვ. ხელ-მეორედ აჰყვავებულა და ტყემალს კი ისეთი დიდი ნაყოფი გამოესხა, რომ, თუ ერთ კვირასაც გასტანა ამ გვარმა სითბომ, საჭმელში მოსახმარისი იქნება.

---

## წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო!

ამ ჟამად ჩვენ ქალაქში საითაც გაიარო, სულ ქალაქის ახალ თავისა (გალავის) და ხმოვანების (გლასნების) ამორჩევაზედ არის ლაპარაკი.

ვინც-კი ნაცნობი შეგვხვდება, მაშინვე იმას გკითხავს: აზრში რომელი გყავთ გალავად, ანუ ხმოვანები ვინ იქნებიანო, უპრავის ჩლენებს სცვლიან თუ არაო და სხვა.

ამასთანავე ღმერთს ევედრებიან: ღმერთო, იმ დროს შეგვასწარ, რომ ჩვენ ქალაქის გულ-შემატკივარი მოჭირნახული და საზოგადო სარგებლობისათვის მზრუნველი თავი და ხმოვანები ამოერჩიოსო, მეტადრე ამ უთვალავ საწყალ ხალხისათვისაო ამ გაჭირებულ აუტანელ დროშიო. მაგრამ თან ამასაც ამბობენ, რომ ქალაქის ხალხი თავისებურად პირ-ფერობითა და მიდგომით დაიჭერს საქმესო, და მაშასადამე რიგიანი არა გამოვა-რაო.

ეს მიდგომაც რომ არ იყოს, პირველი ხარისხის ამომრჩევლები თურმე სულ 45 კაცია, მდიდარი და საქმიანი; ამ რიცხვიდგან 24 ხმოვანი უნდა აირჩეს, ე. ი. ნახევარზე მეტი, და ყველა ესენი ისე არიან თავიანთ საკუთარ საქმეში გართულნი, რომ ქალაქი და მისი სარგებლობა ფეხებზე ჰკიდიათ, მაშასადამე არც ივლიან რჩევაში და მით დააბრკოლებენ საქმეების განხილვას.

თქმა არ უნდა, რომ ახლანდელს თავს ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლო ქალაქისათვის, მაგრამ „რა ქნას კარგმა მონარდემა, თუ დუშაში არ მოუვა“: ხმოვანებისგან ბევრნაირ დაბრკოლებას ხედავდა...

ამომრჩევლებს ეს ყველა უნდა კარგად ახსოვდესთ. თავი ვერას გაარიგებს, თუ სხვა ასოები დამბლები არიან. ამომრჩევლებმა უნდა კარგად იცოდნენ, რომ ქალაქს ეჭირება იმისთანა პირები, რომელთაც ბეჯითად უყვარდესთ საზოგადო საქმე, ჰქონდეთ გამოცდილობა ცხოვრებაში, ესმოდეთ ვაჭრობის საქმე, სინიდისითა და სიმართლით უყურებდნენ საქმეს, უყვარდეთ აქაური საწყალი ხალხი, რომელიც ცხოვრებაში მეტის-მეტად შეწუხებულია უსვინიდისო ვაჭრებისაგან, შეეძლოთ სიაფეზედ ზრუნვა და უზარებოდესთ ფიქრი და შრომა იმაზედ, რომ თფილისს მომეტებული სიმშვენიერე მისცენ, მომეტებული სიმდიდრე შესძინონ და სხვ. და სხვ.

აი ამისთანა ხმოვანები გვეჭირება ჩვენ, რომ ესენი ესმოდესთ კარგად, და არა დიდი კაცები, ანუ დიდი ვაჭრები, ან დიდი მდიდრები, რომელთაც—მაძღრებს მშიერებისა და შეწუხებულებისა არა გაეგებათ-რა..

ხმოვანებად საჭიროა ახალი, სალი ხალხი, ცხოვრებისაგან გაუფუჭებელი, რომელთაც ჯერ გული არ გაჰქვავებიათ და საზოგადო კეთილი ისე სწამთ, როგორც საკუთარი კეთილი.

ჩვენ ქალაქს ყველაფერი აქვს ამისთანა ხმოვანებს გარდა. ახლა ჩვენზედ, ამომრჩევლებზედ, არის დამოკიდებული, რომ თავი არ შევირცხვინოთ, თითით საჩვენებელი არ გავხდეთ, თორემ ჰლამის ქალაქის მმართველობის საქმეში უნიჭობა დავიმკვიდროთ...

მეკენჭე

---

# უცხო ქვეყნები

## ინგლისი და ავღანი

ზოგიერთს რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეში 1 ქრისტეშობისთვეს მიღებული ბერლინიდამ:

„აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ რუსეთსა და ინგლისს შეუკრავთ ერთმანეთში პირობა, რომლის ძალითაც რუსეთი არ მიიღებს სრულად მონაწილეობას

---

# ფელეტონი

## არტაანის ამბები

(დასასრული *)

აქ, არტაანში, ხშირად მოაქვთ გასასყიდათ აჭარელებსა და სხვა ქართველებსაც ხილი და სხვა საზრდო და მე ხშირად მომიხდება ხოლმე ამათთან ლაპარაკი; მაგრამ, სამწუხაროდ, მინამ კაცი ამათ ძალიან არ დაუახლოვდება, უნდოთ არიან და ყველა იმის თხოვნას და კითხვას ეჭვით უყურებენ. აქ ამათთან დაახლოვებაც შეუძლებელია, რადგანაც გაჰყიდიან თუ არა სავაჭროს, მაშინვე უკან ბრუნდებიან.

ამის გამო, თუმცა მე მოწადინებული ვარ ამათი ლექსების, სიმღერების, ანდაზების და სხვ. შეკრებას, მაგრამ ამ მიზეზებისგამო არ მეძლევა შემთხვევა ამ წადილის აღსრულებისა და არც გარემოება მაძლევს ნებას—მე თითონ ვიმგზავრო ამათ სოფლებში.

საზოგადოთ ამათთან ლაპარაკი ძალიან სიფრთხილით უნდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამათ ხალხოსნობას შეეხება კაცი. ამათი შეხედულობით, სარწმუნოება და ხალხოსნობა ერთი და იგივეა, ე. ი. ამათთვის გინდა მითქვამს ქართველი ხარო, გინდა ქრისტიანი ორივე ერთნაირად ესმით. ამისათვის ამ საგანზე ლაპარაკი მაგრე რიგათ არ ეპრიანებათ, თუმცა ზოგიერთა რასაკვირველია, უფრო ხამები, გაკვირვებით უგდებენ ყურს, როდესაც ჩვენებური ვინმე ლაპარაკობს ქართულს და თუ ისიც უთხარი, რომ ან ქართველი ხარ, ან ძახელი ამათ გაკვირვებას ბოლო არ ექნება, რადგანაც ამათ ჰგონიათ, რომ საქართველოს, მარტო ბურია შეიცავს და არ იციინიან—თუ ბურიას გარდა საქართველოს ბევრი სხვა ნაწილ ებიც აქვს.

არიან ამათში ისეთნი პირნიც, რომელთაც იციან თავიანთ ხალხოსნობა და ქართველებსაც ეძახიან თავიანთ თავს, მაგრამ გაფუჭებული და დამახინჯებულია ეს შეხედულობა მაჰმადის ფანატიკური სწავლისაგან.

ამის ნიმუშად მოგიყვანთ ერთი ლივანელი მოლლის თუ ჰაჯის—სწორეთ არ ვიცი—ბაასი, რომელიც პირველად ს. შადრევანში გავიცანით მეღა აქაურმა „დროების“ კორრესპონდენტმა ბავრელმა და შემდეგ კიდევ მარტოთ შემხვდა ის ერთს სხვა სოფელში.

ეს პირი ბუნებას კარგათ დაუსაჩუქრებია ჭკუით, მაჰმადის სწავლაშიაც კარგათ არის განვითარებული და ქართული ენაც მშვენივრად იცის, რასაკვირველია, მარტო ლაპარაკი და არა წერა-კითხვა წინათვე კი ბოდიშს ვითხოვ, რომ მე არ შემიძლიან დავიცვა ეს კილო ენისა, რა კილოზედაც ეს ლაპარაკობდა.

— მეც და სხვა ჩემი ქვეყნელებიც მელაპარაკებოდა—შთამომავლობითაც, შეხედულობითაც და სხვაფრივაც ქართველები ვართ,—ეს მე ძალიან კარგათ მესმის; მაგრამ სარწმუნოება მაჰმადისა გვიჭირავს. რადგანაც ყოველმა პატიოსანმა კაცმა და განსაკუთრებით ჭეშმარიტმა მაჰმადიანმა ხალხოსნობის წინაშე უპირატესობა უნდა სარწმუნოებას აძლიოს, ამისთვის მე სულით და გულით ვეკუთვნი ოსმალეთს და არა ქართველებს და ჩემს სამშობლოს შეადგენს ჩემი თანამორწმუნე ოსმალეთი და არა საქართველო.

მე ამ აზრის შეცდომის დამტკიცება დაუწყე და მაგალითად მოუყვანე საფრანგეთი, ინგლისი და სხვანი, სადაც მრავალნი არიან სხვა-და-სხვა სარწმუნოების ხალხნი, მაგრამ ყველა თავის სამშობლოთ ჰხდის იმ მხარეს, საცა დაიბადა, და თავის მოძმეთაც იმ ხალხს, რომელსაც ის შთამომავლობით ეკუთვნის.

*) „დროება“, № 252.

